

სამაბისტრო გამოცდების ტესტები ინფორმატიკაში

I. ინფორმატიკის ზოგადი საკითხები

1.1. ინფორმაციის საზომი ერთეულია

1. კილობაიტი
2. ბოდი
3. ბიტი
4. კლასტერი

1.2. კომპიუტერული ინფორმაცია კოდირებულია

1. დაპროგრამების ენის სიმბოლოებით
2. ორობითი ციფრებით
3. სპეციალური სიმბოლური კოდებით
4. ათობითი ციფრებით

1.3. ინფორმაციული არხის მთავარი მახასიათებელია

1. არხის ფიზიკური სიგრძე
2. არხით გადასაცემ მონაცემთა ტიპი
3. არხის სწრაფქმედება
4. არხის გამტარუნარიანობა

1.4. დამაკავშირებელი არხით ინფორმაციის გადაცემისას ადგილი აქვს მის

1. მოდელირებას
2. კოდირებას
3. შეკუმშვას
4. დემოდულაციას

1.5. ჩამოთვლილთაგან რომელია ინფორმაციის ყველაზე დიდი საზომი ერთეული?

1. გიგაბაიტი
2. მეგაბაიტი
3. კილობაიტი
4. ბიტი

1.6. ჩამოთვლილთაგან რომელია ინფორმაციის უმცირესი საზომი ერთეული?

1. ბეტა
2. ბაიტი
3. ბიტი
4. ბატა

1.7. რამდენი ბიტია ერთ კილობაიტში?

1. 10
2. 1024
3. 100
4. 1000

1.8. ჩამოთვლილთაგან ათელის რომელი სისტემა წარმოადგენს კომპიუტერის მუშაობის საფუძველს?

1. ორობითი
2. რვაობითი
3. ათობითი
4. თექვსმეტობითი

- 1.9. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ორობითი 101110101 კოდის შესაბამისი ათობითი რიცხვი?
1. 345
 2. 234
 3. 373
 4. 341
- 1.10. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ათობითი სისტემის 6543 რიცხვის შესაბამისი თექვსმეტობითი კოდი?
1. 189F
 2. 1A9F
 3. 198F
 4. 195F
- 1.11. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ათობითი სისტემის 543 რიცხვის შესაბამისი თექვსმეტობითი კოდი?
1. 21F
 2. 12F
 3. 18F
 4. 13F
- 1.12. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია თექვსმეტობითი 1C3 კოდის შესაბამისი ათობითი რიცხვი?
1. 453
 2. 347
 3. 451
 4. 450
- 1.13. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია თექვსმეტობითი 2DC კოდის შესაბამისი ათობითი რიცხვი?
1. 732
 2. 524
 3. 716
 4. 701
- 1.14. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ათობითი სისტემის 93 რიცხვის შესაბამისი ორობითი კოდი?
1. 1101101
 2. 1011101
 3. 1001101
 4. 1101010
- 1.15. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ათობითი სისტემის 135 რიცხვის შესაბამისი ორობითი კოდი?
1. 10111010
 2. 10000111
 3. 10011011
 4. 11010100
- 1.16. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ათობითი სისტემის 7652 რიცხვის შესაბამისი თექვსმეტობითი კოდი?
1. 1DE4
 2. 1AD9
 3. 18FC
 4. 1F93

- 1.17. შეასრულეთ შესაბამისი მოქმედება ორობით ათვლის სისტემაში 1100101-111001 და აღნიშნეთ სწორი პასუხი.
1. 101110
 2. 101000
 3. 101100
 4. 110101
- 1.18. შეასრულეთ შესაბამისი მოქმედება ორობით ათვლის სისტემაში 1110111-101001 და აღნიშნეთ სწორი პასუხი
1. 1010110
 2. 1001001
 3. 1011001
 4. 1001110
- 1.19. შეასრულეთ შესაბამისი მოქმედება ორობითი ათვლის სისტემაში 1101101+100011 და აღნიშნეთ სწორი პასუხი
1. 10010000
 2. 10110000
 3. 11011000
 4. 11010100
- 1.20. შეასრულეთ შესაბამისი მოქმედება ორობით ათვლის სისტემაში 1110111-101001 და აღნიშნეთ სწორი პასუხი
1. 1011101
 2. 1001110
 3. 1011100
 4. 1101010
- 1.21. შეასრულეთ შესაბამისი მოქმედება ორობით ათვლის სისტემაში 1110111+101001 და აღნიშნეთ სწორი პასუხი
1. 10100000
 2. 10110000
 3. 10110010
 4. 11010101
- 1.22. შეასრულეთ შესაბამისი მოქმედება თექვსმეტობით ათვლის სისტემაში F2CD - 1E78 და აღნიშნეთ სწორი პასუხი
1. D435
 2. 1A9F
 3. D455
 4. D41F
- 1.23. შეასრულეთ შესაბამისი მოქმედება თექვსმეტობით ათვლის სისტემაში FC34A - 2E3C5 და აღნიშნეთ სწორი პასუხი
1. DCF35
 2. DA9F5
 3. DC455
 4. CDF65

1.24. რომელ ლოგიკურ ელემენტს შეესაბამება ქვემოთ მოყვანილი ფუნქციონირების ცხრილი?

A	B	X
0	0	0
0	1	0
1	0	0
1	1	1

1. ღა
2. ღა-არა
3. ან
4. ან-არა

1.25. რომელ ლოგიკურ ელემენტს შეესაბამება ქვემოთ მოყვანილი ფუნქციონირების ცხრილი?

A	B	X
0	0	0
0	1	1
1	0	1
1	1	1

1. ღა
2. ღა-არა
3. ან
4. ან-არა

1.26. რომელ ლოგიკურ ელემენტს შეესაბამება ქვემოთ მოყვანილი ფუნქციონირების ცხრილი?

A	B	X
0	0	1
0	1	1
1	0	1
1	1	0

1. ღა
2. ღა-არა
3. ან
4. ან-არა

1.27. რომელ ლოგიკურ ელემენტს შეესაბამება ქვემოთ მოყვანილი ფუნქციონირების ცხრილი?

A	B	X
0	0	1
0	1	0
1	0	0
1	1	0

1. ღა
2. ღა-არა
3. ან
4. ან-არა

1.28. რომელ ლოგიკურ ელემენტს ეწოდება ინვერტორი?

1. ღა
2. ღა-არა
3. არა
4. ან-არა

1.29. ბულის ალგებრის რომელი განტოლებაა სწორი?

1. $\overline{AA} = 0$
2. $\overline{AA} = 1$
3. $\overline{A\overline{A}} = A$
4. $\overline{AA} = \overline{A}$

1.30. ბულის ალგებრის რომელი განტოლებაა სწორი?

1. $\overline{AB} = \overline{A} \vee \overline{B}$
2. $\overline{AB} = \overline{A} \vee B$
3. $\overline{AB} = A \vee \overline{B}$
4. $\overline{AB} = A \vee B$

1.31. ბულის ალგებრის რომელი განტოლებაა სწორი?

1. $A \vee BC = (A \vee B)C$
2. $A \vee BC = (B \vee C)A$
3. $A \vee BC = A \vee B \vee C$
4. $A \vee BC = (A \vee B)(A \vee C)$

1.32. ბულის ალგებრის რომელი განტოლებაა სწორი?

1. $A(A \vee B) = B$
2. $A(A \vee B) = A$
3. $A(A \vee B) = AB$
4. $A(A \vee B) = 1$

1.33. რომელ ლოგიკურ ელემენტს გააჩნია ერთი შესასვლელი?

1. და
2. ან
3. არა
4. და-არა

1.34. რა არის მონაცემთა ბაზა?

1. მაგნიტური მოწყობილობა, სადაც მონაცემები ინახება
2. მონაცემების დასამუშავებელი კომპიუტერული პროგრამა
3. კომპიუტერის მეხსიერების იმ ბილიკებისა და სექტორების ერთობლიობა, რომელიც განკუთვნილია მონაცემების დასამახსოვრებლად
4. დალაგებული რიცხვითი სიმრავლე

1.35. რა ინახება მონაცემთა ბაზაში?

1. კომპიუტერები და მათი ნაწილები
2. არატექსტური, რიცხვითი ტიპის სიდიდეები
3. ინფორმაცია
4. ფასიანი ქაღალდები და ვალუტა

1.36. ცხრილურ მონაცემთა ბაზაში ბაზის ჩანაწერი წარმოადგენს

1. ცხრილის სტრიქონის დასახელებას
2. ცხრილის სტრიქონის ნომერს
3. ცხრილის სვეტის დასახელებას
4. ცხრილის სტრიქონის შემცველობას

137. რამდენ ველს შეიცავს ქვემოთ მოყვანილი ცხრილური მონაცემთა ბაზა?

№	გვარი	სახელი	დაბ. წელი	პროფესია	მისამართი
1.	აბესაძე	ნინო	1980	ინჟინერი	დოლიძის 7
2.	გიგაური	თამარი	1981	იურისტი	ყაზბეგის 19
3.	ლომიძე	გიორგი	1979	ეკონომისტი	გოთუას 15

1. 3 ველს
2. 4 ველს
3. 5 ველს
4. 6 ველს

138. ცხრილურ მონაცემთა ბაზაში ჩანაწერთა ცალკეული ველების შემცველობას განსაზღვრავს

1. ცხრილის სტრიქონის შემცველობა
2. ცხრილის პირველი სტრიქონის შემცველობა
3. ცხრილის სვეტის შემცველობა
4. ცხრილის პირველი სვეტის შემცველობა

1.39. რამდენ ჩანაწერს შეიცავს მოყვანილი ცხრილური მონაცემთა ბაზა?

გვარი	სახელი	დაბ. წელი	პროფესია	მისამართი
დანელია	ეკა	1978	ჟურნალისტი	დოლიძის 7
კოსტავა	ლევანი	1979	ინჟინერი	ყაზბეგის 19
ნადირაძე	ელენე	1980	იურისტი	გოთუას 15

1. 4 ჩანაწერს
2. 3 ჩანაწერს
3. 5 ჩანაწერს
4. 6 ჩანაწერს

1.40. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია თექვსმეტობითი 3EF კოდის შესაბამისი ათობითი რიცხვი?

1. 1070
2. 1007
3. 1200
4. 1700

1.41. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია თექვსმეტობითი 20D კოდის შესაბამისი ათობითი რიცხვი?

1. 269
2. 324
3. 265
4. 259

1.42. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ათობითი სისტემის 77 რიცხვის შესაბამისი ორობითი კოდი?

1. 1101101
2. 1001101
3. 1010101
4. 1011010

- 1.43. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ათობითი სისტემის 152 რიცხვის შესაბამისი ორობითი კოდი?
1. 10010010
 2. 10101011
 3. 10000111
 4. 10101010
- 1.44. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ათობითი სისტემის 4732 რიცხვის შესაბამისი თექვსმეტობითი კოდი?
1. 12E4
 2. 1AD9
 3. 127C
 4. 19F3
- 1.45. შეასრულეთ შესაბამისი მოქმედება თექვსმეტობით ათვლის სისტემაში $3F2C + 1E34$ და აღნიშნეთ სწორი პასუხი.
1. 53D8
 2. 4F60
 3. 5D60
 4. 5F80
- 1.46. შეასრულეთ შესაბამისი მოქმედება ორობით ათვლის სისტემაში $10101111-1011001$ და აღნიშნეთ სწორი პასუხი
1. 1011001
 2. 1011011
 3. 1001110
 4. 1010110
- 1.47. შეასრულეთ შესაბამისი მოქმედება ორობითი ათვლის სისტემაში $1010101+1010101$ და აღნიშნეთ სწორი პასუხი
1. 10010000
 2. 10101010
 3. 11010100
 4. 11100100
- 1.48. შეასრულეთ შესაბამისი მოქმედება ორობით ათვლის სისტემაში $1101011-101001$ და აღნიშნეთ სწორი პასუხი
1. 1010101
 2. 1000010
 3. 1110100
 4. 1000001
- 1.49. შეასრულეთ შესაბამისი მოქმედება თექვსმეტობით ათვლის სისტემაში და $7C78 - 1CDE$ და აღნიშნეთ სწორი პასუხი
1. 5F9A
 2. 54CD
 3. 5F9E
 4. 5E9A
- 1.50. შეასრულეთ შესაბამისი მოქმედება თექვსმეტობით ათვლის სისტემაში $A46F + 3FC3$ და აღნიშნეთ სწორი პასუხი
1. E434
 2. 1A9F
 3. E432
 4. D41F

II. კომპიუტერის არქიტექტურა

2.1. კომპიუტერის მთავარი აპარატურული კვანძია

1. პროცესორი
2. ადაპტერი
3. ვინჩესტერი
4. მონიტორი

2.2. კომპიუტერის ცვლად მეხსიერებას მიეკუთვნება

1. ოპერატიული მეხსიერება
2. სკანერი
3. ვინჩესტერი
4. კომპაქტ-დისკი

2.3. კომპიუტერული სისტემის მთავარი მახასიათებელია

1. პროცესორის სწრაფქმედება
2. სისტემური პლატის ტიპი და სწრაფქმედება
3. ოპერატიული მეხსიერების მოცულობა და სწრაფქმედება
4. ვინჩესტერის მოცულობა და სწრაფქმედება

2.4. ინფორმაცია, რომელსაც კომპიუტერი მოცემულ მომენტში გადაამუშავებს, ინახება

1. კომპაქტ-დისკზე
2. პროცესორში
3. ოპერატიულ მეხსიერებაში
4. ვინჩესტერზე

2.5. პროგრამა დრაივერის დანიშნულებაა

1. მოწყობილობათა მართვა
2. მეხსიერების შემოწმება
3. ინფორმაციის განაწილება მეხსიერებაში
4. პროცესორის პროგრამული მართვა

2.6. HyperThreading-ტექნოლოგია გამოიყენება

1. ერთბირთვიან პროცესორებში
2. ორბირთვიან პროცესორებში
3. მრავალპროცესორულ სისტემებში
4. ნებისმიერ მათგანში

2.7. მრავალპროცესორული სისტემაში არ არის აუცილებელი შემდეგი კომპონენტი

1. სპეციალური სისტემური პლატა მრავალპროცესორული სისტემის მხარდაჭერით
2. სპეციალური პროცესორი მრავალპროცესორული სისტემის მხარდაჭერით
3. ოპერაციული სისტემა მრავალპროცესორული სისტემის მხარდაჭერით
4. შესაბამისი დრაივერის ინსტალაცია

2.8. პროცესორის ძირითადი მახასიათებელი არ არის

1. პროცესორის რეგისტრების თანრიგიანობა
2. სისტემური (FSB) სალტის სიხშირე
3. სისტემური (FSB) სალტის თანრიგიანობა
4. დამისამართებადი მეხსიერების მოცულობა

2.9. სერიული წარმოების რომელ პროცესორს გააჩნია Cash-მეხსიერების სამი დონე?

1. Intel Celeron-ს
2. Intel Pentium-ს
3. Intel Xeon-ს
4. Intel Itanium-ს

2.10. მათემატიკური თანაპროცესორი ოპერაციებს ასრულებს

1. ფიქსირებულმძიმე რიცხვებზე
2. მცურავმძიმე რიცხვებზე
3. როგორც ფიქსირებულმძიმე, ისე მცურავმძიმე რიცხვებზე
4. შესასრულებელი ოპერაციების ტიპი დამოკიდებულია პროცესორის მოდელზე.

2.11. DDR-მეხსიერება წარმოადგენს

1. სტატიკურ ასინქრონულ ოპერატიულ მეხსიერებას
2. სტატიკურ სინქრონულ ოპერატიულ მეხსიერებას
3. დინამიკურ ასინქრონულ ოპერატიულ მეხსიერებას
4. დინამიკურ სინქრონულ ოპერატიულ მეხსიერებას

2.12. Cash-მეხსიერება წარმოადგენს

1. სტატიკურ ასინქრონულ ოპერატიულ მეხსიერებას
2. სტატიკურ სინქრონულ ოპერატიულ მეხსიერებას
3. დინამიკურ ასინქრონულ ოპერატიულ მეხსიერებას
4. დინამიკურ სინქრონულ ოპერატიულ მეხსიერებას

2.13. კვებაზე დამოკიდებული მეხსიერების ტიპებია

1. ძირითადი ოპერატიული მეხსიერება და მუდმივი მეხსიერება
2. მუდმივი მეხსიერება და გარე მეხსიერება
3. ძირითადი ოპერატიული მეხსიერება და Cash-მეხსიერება
4. Cash-მეხსიერება და გარე მეხსიერება

2.14. დაბალი დონის დრაივერი უზრუნველყოფს

1. შესაბამისი მოწყობილობის დიაგნოსტიკას
2. შესაბამისი მოწყობილობის მინიმალურ რეჟიმში ფუნქციონირებას
3. ოპერატიული სისტემის ჩატვირთვას
4. შესაბამისი მოწყობილობის ჩვეულებრივ რეჟიმში ფუნქციონირებას

2.15. კომპიუტერში მაღალი დონის დრაივერის ჩატვირთვის შემთხვევაში

1. დაბალი დონის დრაივერი რჩება ოპერატიულ მეხსიერებაში
2. დაბალი დონის დრაივერი წაიშლება ოპერატიული მეხსიერებიდან და იგი წყვეტს ფუნქციონირებას
3. დაბალი დონის დრაივერი წაიშლება ოპერატიული მეხსიერებიდან, მაგრამ აგრძელებს ფუნქციონირებას
4. დაბალი დონის დრაივერის ფუნქციონირება არ არის დამოკიდებული მაღალი დონის დრაივერის ჩატვირთვაზე.

2.16. თანამედროვე EEPROM-მუმივ მეხსიერებაში

1. პროგრამა BIOS იწერება ერთხელ, დამზადებისთანავე.
2. პროგრამა იწერება ერთხელ, დამზადების შემდეგ.
3. შესაძლებელია მრავალჯერადი ჩაწერა პროგრამატორის საშუალებით
4. შესაძლებელია მრავალჯერადი ჩაწერა პროგრამულად.

2.17. როდის შეასრულებს პროცედურა POST კომპიუტერის ტესტირებას?

1. ოპერაციული სისტემის ჩატვირთვამდე
2. ოპერაციული სისტემის ჩატვირთვის შემდეგ
3. როგორც ოპერაციული სისტემის ჩატვირთვამდე, ისე ოპერაციული სისტემის ჩატვირთვის შემდეგ
4. ტესტირება დამოკიდებულია მომხმარებლის მიერ დაყენებულ პარამეტრებზე

2.18. Cash-მეხსიერებაში მონაცემები იტვირთება

1. დისკური მოწყობილობებიდან და ძირითადი ოპერატიული მეხსიერებიდან.
2. მუდმივი მეხსიერებიდან.
3. ძირითადი ოპერატიული მეხსიერებიდან
4. მუდმივი მეხსიერებიდან და ძირითადი ოპერატიული მეხსიერებიდან

2.19. რეგენერაციას საჭიროებს

1. მუდმივი მეხსიერება
2. ძირითადი ოპერატიული მეხსიერება
3. Cash-მეხსიერება
4. პროცესორის რეგისტრები

2.20. დინამიკური მეხსიერება, სტატიკურ მეხსიერებასთან შედარებით, გამოირჩევა

1. უფრო მაღალი ღირებულებით
2. ინტეგრაციის უფრო მაღალი ხარისხით
3. უფრო მაღალი სწრაფქმედებით
4. უფრო მაღალი საიმედოობით

2.21. PCI-სალტე წარმოადგენს

1. პარალელურ ერთგამტარიან სალტეს
2. მიმდევრობით ერთგამტარიან სალტეს
3. პარალელურ დიფერენციალურ სალტეს
4. მიმდევრობით დიფერენციალურ სალტეს

2.22. USB-სალტე წარმოადგენს

1. პარალელურ ერთგამტარიან სალტეს
2. მიმდევრობით ერთგამტარიან სალტეს
3. პარალელურ დიფერენციალურ სალტეს
4. მიმდევრობით დიფერენციალურ სალტეს

2.23. ოპერაციული სისტემის დანიშნულებაა

1. კომპიუტერის აპარატურის ფუნქციონირება და დიაგნოსტიკა
2. პერიფერიული მოწყობილობების მართვა
3. მომხმარებელთან დიალოგის უზრუნველყოფა
4. კომპიუტერის აპარატურის ფუნქციონირება და მომხმარებელთან დიალოგი

2.24. ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს ოპერაციულ სისტემას?

1. გამოყენებითი პროგრამა
2. მომსახურე პროგრამა
3. დაპროგრამების სისტემა
4. პროგრამების ნაკრები, რომელიც კომპიუტერების ფუნქციონირებას უზრუნველყოფს

2.25. ოპერაციული სისტემის ფუნქციას არ წარმოადგენს

1. მომხმარებელსა და პროგრამულ-აპარატურულ საშუალებებს შორის ინტერფეისის უზრუნველყოფა
2. აპარატურულ და პროგრამულ საშუალებებს შორის ინტერფეისის უზრუნველყოფა მომხმარებლის გარეშე
3. სხვადასხვა სახის პროგრამულ უზრუნველყოფებს შორის ინტერფეისის უზრუნველყოფა
4. **BIOS-დან** საწყისი ჩატვირთვის ბრძანების გაშვება

2.26. ჩამოთვლილთაგან რომელია ოპერაციული სისტემები?

1. **MS Word** და **Media Pleyer**
2. **Windows XP** და **Linux**
3. **Adobe Photoshop** და **Internet Explorer**
4. **MS Excel** და **MS PowerPoint**

2.27. რომელი არ წარმოადგენს ოპერაციული სისტემის შემადგენელ ქვესისტემას?

1. ფაილების მართვის ქვესისტემა
2. შეტანა-გამოტანის მოწყობილობების მართვის ქვესისტემა
3. პროცესების მართვის ქვესისტემა
4. წვევების მართვის ქვესისტემა

2.28. MS Windows XP -ის ფაილური სისტემაა:

1. **FAT** და **NTFS**
2. **HTML**
3. **NTFS**
4. **MS DOS**

2.29. MS Windows XP ოპერაციულ სისტემაში კომპიუტერის მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მოძებნა ბრძანებათა რომელი მიმდევრობით სორციელდება?

1. **Start/Programs/Accessories/System Tools/ System Information**
2. **Start/Setting/Control Panel/printer**
3. **My Computer /კონტექსტური მენიუ / Properties/**
4. **C:/ Properties**

2.30. შესაძლებელი თუ არა დისკზე არსებობდეს სხვადასხვა ფაილური სისტემა, მაგალითად, FAT და NTFS?

1. აღნიშნულის გარდა ერთ ლოგიკურ დისკზე შესაძლებელია არსებობდეს კიდევ სხვა ფაილური სისტემებიც
2. არაა შესაძლებელი
3. ერთ ლოგიკურ დისკზე შესაძლებელია არსებობდეს მხოლოდ ორი სხვადასხვა ფაილური სისტემა
4. შესაძლებელია, თუ დისკი დაყოფილია ლოგიკურ ნაწილებად

2.31. ოპერაციულ სისტემებში ფაილს აქვს სახელი და გაფართოება. აღნიშნეთ სწორი ჩანაწერი.

1. **studenti. doc**
2. **studenti. Doc. Xls**
3. **st.?. doc**
4. **stud. Cdoc**

2.32. განმარტეთ რა იგულისხმება განსაზღვრებაში: "ოპერაციული სისტემა არის მრავალამოცანიანი"?

1. გულისხმობს ერთდროულად მხოლოდ ორი პროგრამის მუშაობას
2. გულისხმობს ერთდროულად რამდენიმე პროგრამის მუშაობას
3. ასეთი განსაზღვრება საერთოდ არ არსებობს
4. ერთი და იმავე ოპერაციული სისტემით რამდენიმე მომხმარებელი სარგებლობს ისე, რომ ყველას თავისი პარამეტრები აქვს

2.33. რომელი ოპერაციული სისტემა არ არის მრავალამოცანიანი?

1. **Linux**
2. **MS Windows XP**
3. **Ms Dos**
4. **MS Windows 2000**

2.34. ოპერაციულ სისტემაში პროცესს უწოდებენ:

1. პროგრამას შესრულების მომენტში
2. პროცესორის მდგომარეობას
3. ოპერაციულ მეხსიერებაში პროგრამის ჩაწერის პროცედურას
4. დისკის დაყოფას ლოგიკურ ნაწილებად

2.35. რომელი არ არის პროცესის ძირითადი მდგომარეობა?

1. ლოდინის
2. შესრულების
3. მზადყოფნის
4. წყვეტის.

2.36. ჩამოთვლილთაგან რომელი ფუნქციის შესრულება უნდა უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის შეტანა-გამოტანის ქვესისტემამ?

1. უნდა უზრუნველყოს როგორც მოწყობილობებსა და დანარჩენ სისტემას შორის, ისე მოწყობილობებს შორის მარტივი და მოხერხებული ინტერფეისი
2. უნდა უზრუნველყოს პროცესორის ურთიერთობა ოპერაციულ მეხსიერებასთან
3. უნდა უზრუნველყოს ოპერაციული მეხსიერების ურთიერთობა რეგისტრულ მეხსიერებასთან
4. უნდა უზრუნველყოს სისტემის ჩატვირთვა

2.37. ჩამოთვლილთაგან რომელი სახის ფაილები არ არსებობს?

1. სპეციალური ფაილები
2. ფაილ-კატალოგები
3. ტექსტური და ორობითი ფაილები
4. ფაილ-სერვერები

2.38. კატალოგის (საქადალდის) სარჩევი შეიცავს

1. ფაილების სიას
2. ქვეკატალოგებისა და ფაილების სიას
3. ქვეკატალოგების სიას
4. დისკების ჩამონათვალს

2.39. ჩამოთვლილთაგან რომელია C: დისკის alfa კატალოგის (საქადალდის) anketa ფაილზე მიმართვის გზა?

1. **c:alfa:anketa**
2. **C:/alfa/anketa**
3. **c:\alfa\anketa**
4. **c:>alfa>anketa**

2.40. ჩამოთვლილთაგან რომელი ჩანაწერი აღნიშნავს C დისკის ძირეულ კატალოგს?

1. C>:
2. C/:
3. C:<
4. C:\

2.41. Windows-ის ფანჯრის მენიუს View პუნქტი ემსახურება

1. ფანჯრების გადანაცვლებას და ზომების ცვლილებას
2. მესხიერების ობიექტებთან მუშაობას
3. ფანჯარაში ინფორმაციის წარმოდგენის რეჟიმების შერჩევას
4. მესხიერების ობიექტების მოძებნასა და დათვალიერებას

2.42. Windows-ის რომელი ბრძანებით დავაღაგებთ ფანჯრის ობიექტებს ანბანის მიხედვით?

1. მენიუს Tools-Sort-by-Name ბრძანებით
2. მენიუს View-Arrange Icons by- Name ბრძანებით
3. მენიუს Tools-Arrange Icons by-Name ბრძანებით
4. მენიუს View-Sort-by Name ბრძანებით

2.43. რას ემსახურება Windows-ის ფანჯრის მენიუს Edit-Cut ბრძანება?

1. ობიექტის წაშლას
2. ობიექტის ჩასმას
3. ობიექტის ასლის მიღებას
4. ობიექტის გადანაცვლებას

2.44. ჩამოთვლილთაგან რომელი ბრძანებით ხორციელდება ახალი ფოლდერის შექმნა?

1. File-New-Folder
2. Edit-New-Folder
3. View-New-Folder
4. Edit-Folder-New

2.45. ჩამოთვლილი ბრძანებებიდან რომელი არ ასრულებს მონიშნული ობიექტის წაშლის ოპერაციას

1. კლავიატურის Del კლავიშზე დაჭერა
2. მენიუს Edit-Delete ბრძანება
3. კონტექსტური მენიუს Delete ბრძანება
4. მენიუს File-Delete ბრძანება

2.46. რომელი ოპერაციით მიიღება ფაილის ასლი ერთი ფოლდერიდან სხვა ფოლდერში?

1. მენიუს Edit-Copy და Edit-Paste ბრძანებებით
2. მენიუს Tools-Copy და Tools-Paste ბრძანებით
3. მენიუს File-Copy და Edit-Paste ბრძანებებით
4. მენიუს View-Copy და View-Paste ბრძანებებით

2.47. რომელი ბრძანება ემსახურება მონიშნული ობიექტისათვის სახელის გამოცვლას?

1. კონტექსტური მენიუს Object-Rename ბრძანება
2. ფანჯრის მენიუს Edit-Rename Object ბრძანება
3. Start მენიუს Rename Object ბრძანება
4. ფანჯრის მენიუს File-Rename ბრძანება

2.48. ჩამოთვლილთაგან რომელი ბრძანებით არის შესაძლებელი იარლიყის აღნიშვნის შეცვლა?

1. Start მენიუს Shortcut-Change Icon ბრძანებით
2. ეკრანის კონტექსტური მენიუს Properties- Change Icon ბრძანებით
3. Start მენიუს Shortcut-Change Icon ბრძანებით
4. ეკრანის კონტექსტური მენიუს New-Change Shortcut Icon ბრძანებით

2.49. ჩამოთვლილი ოპერაციებიდან რომელი შესრულდება File-Send To-Desktop ბრძანებით?

1. ობიექტის ასლის მიღება სამუშაო მაგიდაზე
2. ობიექტის იარლიყის შექმნა სასტარტო მენიუში
3. ობიექტის იარლიყის შექმნა სამუშაო მაგიდაზე
4. ობიექტის გადანაცვლება სამუშაო მაგიდაზე

2.50. ჩამოთვლილი ოპერაციებიდან რომელი შესრულდება ეკრანის კონტექსტური მენიუს Properties-Desktop დიალოგში?

1. ეკრანის დამცავი ფარდის დაყენება
2. ეკრანზე ობიექტების მოწესრიგება
3. ეკრანზე ფანჯრების განლაგების რეჟიმების შერჩევა
4. ეკრანის ფონის შეცვლა

III. ალგორითმიზაცია

3.1. რომელი მოაზროვნის სახელის ლათინურ ტრანსკრიფციას უკავშირდება ტერმინი "ალგორითმი"?

1. ევკლიდეს
2. ერატოსთენეს
3. ბენ მუსა ალ-ხორეზმის
4. პლატონის

3.2. ჩამოთვლილთაგან რომელი არ წარმოადგენს ალგორითმის თვისებას?

1. უნივერსალობა
2. დეტერმინირებულობა
3. შედეგიანობა
4. უწყვეტობა

3.3. ალგორითმი წარმოადგენს:

1. რიცხვით მეთოდს
2. შერჩეული რიცხვითი მეთოდის რეალიზაციას
3. პროგრამულ პროდუქტს
4. დასმული ამოცანის მათემატიკურ ფორმულირებას

3.4. ფსევდოკოდი წარმოადგენს:

1. დაბალი დონის დაპროგრამების ენას
2. ალგორითმის ერთ-ერთ თვისებას
3. ალგორითმის შემუშავების ხელოვნურ, არაფორმალურ ენას
4. მაღალი დონის დაპროგრამების ენას

3.5. ჩამოთვლილთაგან რომელი არ წარმოადგენს ალგორითმის გამოსახვის ფორმას:

1. სტრუქტურული ფორმა
2. სიტყვიერი ფორმა
3. გრაფიკული ფორმა
4. ოპერატორული ფორმა

3.6. ჩამოთვლილთაგან რომელი სტრუქტურის ალგორითმი არ არსებობს:

1. წრფივი სტრუქტურის
2. განშტოებული სტრუქტურის
3. ციკლური სტრუქტურის
4. ცხრილური სტრუქტურის

3.7. ალგორითმს, რომელშიც ყველა მოქმედება ერთიმეორის მიყოლებით სრულდება და გამოთვლების მიმართულება საწყისი მონაცემების კონკრეტულ მნიშვნელობებზე არ არის დამოკიდებული, ეწოდება:

1. წრფივი სტრუქტურის ალგორითმი
2. განშტოებული სტრუქტურის ალგორითმი
3. ციკლური სტრუქტურის ალგორითმი
4. არაწრფივი სტრუქტურის ალგორითმი

3.8. ალგორითმს, რომელშიც მოქმედებათა შესრულების თანმიმდევრობა და გამოთვლების მიმართულება ლოგიკური პირობის მიხედვით იცვლება, ეწოდება:

1. წრფივი სტრუქტურის ალგორითმი
2. განშტოებული სტრუქტურის ალგორითმი
3. ცხრილური სტრუქტურის ალგორითმი
4. ციკლური სტრუქტურის ალგორითმი

3.9. ალგორითმს, რომელშიც მრავალჯერგანმეორებადი გამოთვლითი პროცედურა გამოიყენება, ეწოდება:

1. წრფივი სტრუქტურის ალგორითმი
2. განშტოებული სტრუქტურის ალგორითმი
3. ცხრილური სტრუქტურის ალგორითმი
4. ციკლური სტრუქტურის ალგორითმი

3.10 ციკლურ პროცესში იტერაციების დასათვლელად გამოყენებულ ცვლადს, რომელიც მხოლოდ მთელირიცხვა მნიშვნელობებს ღებულობს, ეწოდება:

1. მთელი
2. ბიჯი
3. ინდექსი
4. ელემენტი

3.11. ციკლს, რომელშიც ელემენტარულ პროცედურათა გამეორების რიცხვის წინასწარ განსაზღვრა შესაძლებელია, ეწოდება:

1. იტერაციული ციკლი
2. არითმეტიკული ციკლი
3. გეომეტრიული ციკლი
4. უსასრულო ციკლი

- 3.12. ციკლს, რომელშიც ელემენტარულ პროცედურათა გამეორების რიცხვის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, ეწოდება:**
1. იტერაციული ციკლი
 2. არითმეტიკული ციკლი
 3. გეომეტრიული ციკლი
 4. უსასრულო ციკლი
- 3.13. ციკლს, რომელიც თავის ტანში შეიცავს სხვა ციკლებს, ეწოდება:**
1. მარტივი ციკლი
 2. შიდა ციკლი
 3. გარე ციკლი
 4. უსასრულო ციკლი
- 3.14. ალგორითმის შემუშავების დროს გამოყენებულ დამხმარე ალგორითმს უწოდებენ:**
1. ბლოკს
 2. ქვეპროგრამას
 3. ფსევდო-ალგორითმს
 4. ალგორითმის ტანს
- 3.15. ალგორითმის გრაფიკულ გამოსახულებას ეწოდება:**
1. ბლოკ-სქემა
 2. ცხრილი
 3. ვექტორი
 4. ფსევდოკოდი
- 3.16. ალგორითმის ბლოკ-სქემაში გამოყენებული ნაკადის ხაზი წარმოადგენს:**
1. კონექტორს
 2. ლოგიკურ ბლოკს
 3. ბლოკების შემაერთებელ ხაზს
 4. მოდიფიკაციის ბლოკს
- 3.17. ალგორითმის ბლოკ-სქემაში გამოყენებული სიტყვიერი განმარტება წარმოადგენს:**
1. ლოგიკურ პირობას
 2. კომენტარს
 3. ტრანსკრიფციას
 4. იდენტიფიკატორს
- 3.18. გარკვეული პირობების მიხედვით ალგორითმის შესრულების მიმდევრობის შესაცვლელად გამოიყენება:**
1. მოდიფიკაციის ბლოკი
 2. ლოგიკური ბლოკი
 3. გამოთვლების ბლოკი
 4. წინასწარ განსაზღვრული პროცესის ბლოკი
- 3.19. ოპერატორული ფორმით წარმოდგენილ ალგორითმში გამოყენებულ ოპერატორებს შორის არ არსებობს:**
1. არითმეტიკული ოპერატორი
 2. ლოგიკური ოპერატორი
 3. ცვლადი ოპერატორი
 4. მათემატიკური ოპერატორი

3.20. ეტაპი, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს კომპიუტერული პროგრამის შედგენას, ითვალისწინებს:

1. ამოცანის გადაწყვეტას
2. პროგრამის გამართვას
3. გამოთვლითი პროცესის ალგორითმიზაციას
4. ამოცანის მათემატიკურ ფორმულირებას

3.21. ალგორითმის თვისებას, რომელიც ამოცანების ფართო კლასისათვის და ნებისმიერი დასაშვები საწყისი მნიშვნელობების დროს ითვალისწინებს სწორი რეზულტატის მიღებას დასაშვები სიზუსტი, ეწოდება:

1. უნივერსალობა
2. დისკრეტულობა
3. დეტერმინირებულობა
4. შედეგიანობა

3.22. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის მასივის ატრიბუტი?

1. სახელი
2. პროტიპი
3. ინდექსი
4. განზომილება

3.23. რას წარმოადგენს მასივი?

1. მონაცემთა დინამიკურ სტრუქტურას
2. რიცხვით მატრიცას
3. საერთო სახელის მქონე სხვადასხვა ტიპის ცვლადების ერთობლიობას
4. საერთო სახელის მქონე ერთნაირი ტიპის ცვლადების ერთობლიობას

3.24. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება მასივის დახარისხების ალგორითმების ჯგუფს?

1. დახარისხება გადანაცვლებით
2. დახარისხება ამორჩევით
3. დახარისხება უკუკავშირით
4. დახარისხება ჩასმით

3.25. ჩამოთვლილთაგან რომელი არ წარმოადგენს მასივის დახარისხების ალგორითმს?

1. მარტივი გადანაცვლების
2. კომბინირებული
3. დისკრეტული
4. "ბუშტისებრი"

3.26. მოცემული ნატურალური რიცხვის ლუწობის დასადგენად საჭიროა:

1. მოცემული რიცხვის გაყოფა 2-ზე
2. მოცემული რიცხვის გაყოფა 5-ზე
3. მოცემული რიცხვის გაყოფა 10-ზე
4. მოცემული რიცხვის გაყოფა 0.1-ზე

3.27. ჩამოთვლილთაგან რომელია ერთგანზომილებიანი მასივი?

1. ვექტორის კომპონენტების ერთობლიობა
2. მატრიცის ელემენტების ერთობლიობა
3. დადებითი ელემენტების ნაკრები
4. უარყოფითი ელემენტების ნაკრები

- 3.28. ორგანოზომილებიან მასივში ელემენტები, რომელთა სტრიქონის ინდექსების მნიშვნელობები მეტია სვეტის ინდექსების მნიშვნელობებზე, განლაგებულია**
1. მასივის მთავარ დიაგონალზე
 2. მასივის მთავარი დიაგონალის ქვემოთ
 3. მასივის მთავარი დიაგონალის ზემოთ
 4. მასივის მცირე დიაგონალის ზემოთ
- 3.29. ორგანოზომილებიან მასივში ელემენტები, რომელთა სტრიქონის ინდექსების მნიშვნელობები ნაკლებია სვეტის ინდექსების მნიშვნელობებზე, განლაგებულია**
1. მასივის მთავარ დიაგონალზე
 2. მასივის მთავარი დიაგონალის ქვემოთ
 3. მასივის მთავარი დიაგონალის ზემოთ
 4. მასივის მცირე დიაგონალის ქვემოთ
- 3.30. კვადრატულ მატრიცაში სტრიქონისა და სვეტის ერთნაირი ინდექსების მქონე ელემენტები განლაგებულია:**
1. მატრიცის მთავარ დიაგონალზე
 2. მატრიცის მთავარი დიაგონალის ქვემოთ
 3. მატრიცის მთავარი დიაგონალის ზემოთ
 4. მატრიცის პირველ სტრიქონში
- 3.31. რა შემთხვევაში არ საჭიროებს პროგრამისტის მიერ შედგენილი პროგრამა ტრანსლირებას ეგზ-ისთვის გასაგებ ენაზე?**
1. თუ პროგრამა შედგენილია მაღალი დონის დაპროგრამების ენაზე
 2. თუ პროგრამა შედგენილია მანქანურ ენაზე
 3. თუ პროგრამა შედგენილია დაბალი დონის დაპროგრამების ენაზე
 4. თუ პროგრამა შედგენილია დაპროგრამების ნებისმიერ ენაზე
- 3.32. რა სახის შეცდომასთან გვაქვს საქმე, თუ კომპიუტერული პროგრამის მუშაობის შედეგი არ ემთხვევა მოსალოდნელ შედეგს?**
1. სინტაქსურ შეცდომასთან
 2. გამოუსწორებელ შეცდომასთან
 3. ლოგიკურ შეცდომასთან
 4. მორფოლოგიურ შეცდომასთან
- 3.33. რა სახის შეცდომასთან გვაქვს საქმე, როდესაც პროგრამის ნორმალური ფუნქციონირება შეუძლებელია მასში დაუშვებელი პროგრამული კონსტრუქციების არსებობის გამო?**
1. ლოგიკურ შეცდომასთან
 2. გამოუსწორებელ შეცდომასთან
 3. სინტაქსურ შეცდომასთან
 4. მორფოლოგიურ შეცდომასთან
- 3.34. ალგორითმის თვისებას, რომელიც ითვალისწინებს შედეგის მიღებას სასრულ დროსა და სასრული ბიჯების შესრულების შემდეგ, ეწოდება:**
1. დეტერმინირებულობა
 2. უნივერსალობა
 3. შედეგიანობა
 4. დისკრეტულობა

3.35. ალგორითმის ბლოკ-სქემაში ინფორმაციის ნაკადის ხაზების ძირითად მიმართულებად მიღებულია

1. მიმართულება ზემოდან ქვემოთ და მარცხნიდან მარჯვნივ
2. მიმართულება ზემოდან ქვემოთ და მარჯვნიდან მარცხნივ
3. მიმართულება ქვემოდან ზემოთ და მარცხნიდან მარჯვნივ
4. მიმართულება ქვემოდან ზემოთ და მარჯვნიდან მარცხნივ

3.36. ალგორითმების თეორიაში მოქმედებების გამეორებათა რაოდენობის განსაზღვრის წესის მიხედვით განასხვავებენ

1. სასრულ და უსასრულო ციკლებს
2. არითმეტიკულ და იტერაციულ ციკლებს
3. მარტივ და რთულ ციკლებს
4. არითმეტიკულ და უსასრულო ციკლებს

3.37. რას უწოდებენ ციკლის მმართველ პარამეტრს, რომლის მნიშვნელობა თანმიმდევრობით იზრდება:

1. უკუმთვლელს
2. ბიჯს
3. პირდაპირ მთვლელს
4. ინდექსს

3.38. რას უწოდებენ ციკლის მმართველ პარამეტრს, რომლის მნიშვნელობა თანმიმდევრობით მცირდება:

1. უკუმთვლელს
2. ბიჯს
3. პირდაპირ მთვლელს
4. ინდექსს

3.39. რას უდრის იმ ცვლადის საწყისი მნიშვნელობა, რომელშიც გროვდება გარკვეული რიცხვითი მონაცემების ჯამი:

1. ნულს
2. ერთს
3. ორს
4. ათს

3.40. რას უდრის იმ ცვლადის საწყისი მნიშვნელობა, რომელშიც გროვდება გარკვეული რიცხვითი მონაცემების ნამრავლი:

1. ნულს
2. ერთს
3. ორს
4. ათს

3.41. რას უდრის ერთგანზომილებიანი მასივის პირველი ელემენტის ინდექსის საწყისი მნიშვნელობა და მისი ცვლილების ბიჯი, თუ საჭიროა მასივიდან კენტი ინდექსიანი ელემენტების ამორჩევა

1. ინდექსი - ნულს, ცვლილების ბიჯი - ერთს
2. ინდექსი - ერთს, ცვლილების ბიჯი - ნულს
3. ინდექსი - ნულს, ცვლილების ბიჯი - ორს
4. ინდექსი - ერთს, ცვლილების ბიჯი - ორს

3.42. რას უდრის ერთგანზომილებიანი მასივის პირველი ელემენტის ინდექსის საწყისი მნიშვნელობა და მისი ცვლილების ბიჯი, თუ საჭიროა მასივიდან ლუწინდექსიანი ელემენტების ამორჩევა:

1. ინდექსი - ნულს, ცვლილების ბიჯი - ერთს
2. ინდექსი - ორს, ცვლილების ბიჯი - ორს
3. ინდექსი - ერთს, ცვლილების ბიჯი - ორს
4. ინდექსი - ერთს, ცვლილების ბიჯი - ნულს

3.43. რას ვუწოდებთ ერთნაირი მახასიათებლების მქონე სკალარული ცვლადების მოწესრიგებულ ერთობლიობას?

1. მატრიცას
2. სტრუქტურას
3. ვექტორს
4. ფუნქციას

3.44. რას ვუწოდებთ ერთნაირი მახასიათებლების მქონე სკალარული ცვლადების მართკუთხა ცხრილს?

1. მატრიცას
2. სტრუქტურას
3. ვექტორს
4. ფუნქციას

3.45. თუ მასივში ელემენტების რაოდენობა n -ის ტოლია, "ჩაძირვის" მეთოდით მისი ელემენტების დახარისხების ალგორითმი მოითხოვს:

1. n რაოდენობის ეტაპის შესრულებას
2. $n-1$ რაოდენობის ეტაპის შესრულებას
3. $n+1$ რაოდენობის ეტაპის შესრულებას
4. ეტაპების რაოდენობას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს

3.46. ვინ შეიმუშავა ოპერატორული სქემით ალგორითმის გამოსახვის ფორმა?

1. ეილერმა
2. ფურიემ
3. ლიაპუნოვმა
4. ფიბონაჩიმ

3.47. ალგორითმიზაციის თეორიაში "=" სიმბოლო აღნიშნავს:

1. ტოლობის ოპერაციას
2. მინიჭების ოპერატორს
3. დეკრემენტის ოპერაციას
4. ინკრემენტის ოპერაციას

3.48. ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნაა სწორი?

1. ყველა ლოგიკური ოპერაცია უნარულია
2. ყველა ლოგიკური ოპერაცია ბინარულია
3. ყველა ლოგიკური ოპერაცია ტერნერულია
4. ზოგი ლოგიკური ოპერაცია უნარულია, ზოგი - ბინარული და ზოგი - ტერნერული

3.49. დახარისხების ალგორითმებიდან ყველაზე სწრაფქმედია:

1. "ჩაძირვის" ალგორითმი
2. მარტივი გადანაცვლების ალგორითმი
3. დახარისხების კომბინირებული ალგორითმი
4. "ბუშტიხები" ალგორითმი

3.50. შემუშავებული ალგორითმის პროგრამული რეალიზაცია შეიძლება ჩაიწეროს:

1. მხოლოდ მაღალი დონის დაპროგრამების ენაზე
2. მხოლოდ დაბალი დონის დაპროგრამების ენაზე
3. მხოლოდ მანქანურ ენაზე
4. დაპროგრამების ნებისმიერ ენაზე

IV. დაპროგრამება

4.1. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება დაპროგრამების ენათა ძირთად ტიპებს?

1. მანქანური ენები
2. ასემბლერის ენა
3. მაღალი დონის ენები
4. პროცესორული ენები

4.2. ჩამოთვლილთაგან რომელი არ წარმოადგენს პროგრამა-ტრანსლიატორს?

1. რედაქტორი
2. კომპილატორი
3. ინტერპრეტატორი
4. კომპილატორის ტიპის ინტერპრეტატორი

რა სახელითაა ცნობილი პროგრამაში შეცდომების მოძებნისა და გასწორების პროცესი?

1. კომპილაცია
2. გამართვა
3. ინტერპრეტაცია
4. შესრულებაზე გაშვება

4.4. დაპროგრამებაში რომელი მმართველი სტრუქტურა არ არსებობს?

1. წრფივი
2. განშტოებადი
3. გამეორების (ციკლური)
4. სტანდარტული

4.5. დაპროგრამების ენათა ოპერაციების ჯგუფს არ მიეკუთვნება:

1. არითმეტიული ოპერაციები
2. ლოგიკური ოპერაციები
3. ტრიგონომეტრიული ოპერაციები
4. შედარების ოპერაციები

4.6. ჩამოთვლილთაგან რომელი სახის ოპერაცია არ არსებობს?

1. უნარული
2. ბინარული
3. ტერნერული
4. კვადრო-ოპერაციები

4.7. პროგრამული ფრაგმენტის რამდენჯერმე გამეორებას ეწოდება:

1. განშტოება
2. პროგრესია
3. ციკლი
4. გაწრფივება

4.8. ციკლური პროცესების რომელი სახე არ არსებობს?

1. არითმეტიკული
2. გეომეტრიული
3. იტერაციული
4. უსასრულო

4.9. რა ეწოდება ლოგიკური პირობის მიხედვით ციკლის შეწყვეტის პროცესს?

1. პროგრამის ჩაციკვლა
2. რეკურსიის მოვლენა
3. ციკლიდან ალტერნატიული გამოსვლა
4. რთული ციკლური პროცესი

რა ეწოდება მონაცემს, რომლის მნიშვნელობის შეცვლა პროგრამის შესრულების პროცესში დაუშვებელია?

1. ცვლადი სიდიდე
2. მუდმივი სიდიდე (კონსტანტა)
3. ინდექსიანი ცვლადი
4. ლიტერალი

4.11. მონაცემების აღწერის დროს მათთვის საწყისი მნიშვნელობების მინიჭების პროცესს ეწოდება:

1. დეკლარაცია
2. ინიციალება
3. ინდექსაცია
4. დეტერმინირება

4.12. მონაცემების იდენტიფიკატორის ჩაწერისას არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

1. ლათინური ანბანის ასოები
2. ციფრები
3. კოდური (საკვანძო) სიტყვები
4. ქვეშეზღვევის სიმბოლო

4.13. ინდექსიანი ცვლადების ერთობლიობას ეწოდება:

1. მასივი
2. მარტივი ცვლადები
3. კონსტანტები
4. ციკლები

4.14. როგორი ტიპის ცვლადები არ არსებობს?

1. მარტივი
2. ინდექსიანი
3. ცვლადი კონსტანტები
4. ცვლადი-მიმთითებლები

4.15. მასივში თვითოეული ცვლადის ინდექსების რაოდენობა განსაზღვრავს:

1. მასივის ზომას
2. მასივის განზომილებას
3. მასივის საწყის მისამართს კომპიუტერის მეხსიერებაში
4. მასივის ელემენტების რაოდენობას

4.16. მასივში შემავალი ელემენტების რაოდენობა განსაზღვრავს:

1. მასივის ზომას
2. მასივის განზომილებას
3. ინდექსების რაოდენობას
4. მასივის ელემენტების მიერ ეგმ-ის მეხსიერების დაკავებულ უჯრედებს

4.17. მასივში ელემენტის ინდექსი არ შეიძლება იყოს:

1. მთელი რიცხვი
2. მთელი ტიპის შედეგის მომცემი გამოსახულება
3. ნული
4. ათწილადი რიცხვი

4.18. ორგანზომილებიან მასივს წარმოადგენს:

1. ვექტორი თავისი კომპონენტებით
2. მატრიცა თავისი კომპონენტებით
3. ტენზორი თავისი კომპონენტებით
4. ერთგანზომილებიანი კოლექცია თავისი კომპონენტებით

4.19. არადინამიკურ მასივში მისი ზომა წარმოადგენს:

1. მთელი ტიპის ცვლადს
2. ცვლადს მცოცავი წერტილით
3. მთელი ტიპის მუდმივ სიდიდეს
4. სტრიქონული ტიპის მუდმივ სიდიდეს

4.20. რას ვუწოდებთ პროგრამულ ფუნქციას, რომელსაც შეუძლია საკუთარი თავის გამოძახება?

1. იტერაციული ფუნქციას
2. კორელაციური ფუნქციას
3. უარგუმენტო ფუნქციას
4. რეკურსიული ფუნქციას

4.21. რას ვუწოდებთ რეკურსიული ფუნქციის რეკურსიულ გამოძახებას?

1. იტერაციას
2. რეკურსიის ბიჯს
3. შედეგის დაბრუნებას
4. კომპილირებას

4.22. რა სახელითაა ცნობილი სტრიქონული კონსტანტები?

1. მუდმივი სიდიდეები
2. ცვლადი სიდიდეები
3. ლიტერალები
4. არგუმენტები

4.23. რა ეწოდება სტრიქონული მონაცემების გაერთიანების პროცესს?

1. კონკატენაცია
2. დახარისხება
3. ლექსემა
4. კოპირება

4.24. რა ტიპის მონაცემები არ არსებობს?

1. რიცხვითი
2. სტრიქონული
3. მომხმარებლის მიერ შექმნილი
4. ფუნქციური ტიპის

4.25. რა სახის ოპერაციაა ლოგიკური “არა” (უარყოფა)?

1. ბინარული
2. ტერნერული
3. უნარული
4. არითმეტიკული

4.26. სად ხდება მონაცემების დეკლარირება პროგრამაში?

1. პროგრამის ნებისმიერ ადგილას
2. პროგრამის ნებისმიერ ადგილას მათ გამოყენებამდე
3. პროგრამის ნებისმიერ ადგილას მათი გამოყენების შემდეგ
4. მნიშვნელობა არ აქვს, თუ სად ხდება მონაცემების დეკლარირება

ციკლის მმართველი პარამეტრის საწყისი მნიშვნელობა მეტია საბოლოო მნიშვნელობაზე. როგორი უნდა იყოს მმართველი პარამეტრის ცვლილების ბიჯი, რომ პროგრამა არ ჩაიციკლოს?

1. დადებითი
2. უარყოფითი
3. ნული
4. ნულისგან განსხვავებული

4.28. ციკლს, რომელშიც ელემენტარული პროცედურების გამეორებათა რიცხვის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, ეწოდება:

1. იტერაციული ციკლი
2. არითმეტიკული ციკლი
3. უსასრულო ციკლი
4. რთული ციკლი

4.29. რას წარმოადგენს მასივის სახელი (იდენტიფიკატორი):

1. ეგმ-ის მესხიერებაში ცვლად მიმთითებელს მის პირველ ელემენტზე
2. ეგმ-ის მესხიერებაში მუდმივ მიმთითებელს მის ბოლო ელემენტზე
3. ეგმ-ის მესხიერებაში მუდმივ მიმთითებელს მის პირველ ელემენტზე
4. ეგმ-ის მესხიერებაში ცვლად მიმთითებელს მის ბოლო ელემენტზე

4.30. მასივის ელემენტები ეგმ-ის მესხიერებაში განლაგებულია:

1. მათი ზრდადი მნიშვნელობების მიხედვით
2. ერთმანეთის მიმდევრობით მესხიერების უჯრებში
3. მათი კლებადი მნიშვნელობების მიხედვით
4. ერთმანეთის პარალელურად მესხიერების უჯრებში

4.31. მონაცემს, რომელიც პროგრამაში განისაზღვრება მასში შემავალი ყველა ფუნქციის გარეთ, ეწოდება:

1. ლოკალური მონაცემი
2. კონსტანტა
3. გლობალური მონაცემი
4. ლიტერალი

4.32. მონაცემს, რომელიც განისაზღვრება პროგრამის ამა თუ იმ ფუნქციაში, ეწოდება:

1. ლოკალური მონაცემი
2. გლობალური მონაცემი
3. ცვლადი მონაცემი
4. მუდმივი მონაცემი

4.33. გლობალური მონაცემის მოქმედების არეა:

1. ფუნქცია
2. ბლოკი
3. ფუნქციის პროტოტიპი
4. ფაილი

- 4.34. მასივის ელემენტების დალაგებას მათი ზრდადობის ან კლებადობის მიხედვით ეწოდება:**
1. კომპილაცია
 2. ინტერპრეტაცია
 3. რედაქტირება
 4. დახარისხება
- 4.35. სიმბოლოთა მიმდევრობა, რომელიც ერთმანეთისგან გამოიყოფა პუნქტუაციის ნიშნებით ან ინტერვალთ, ცნობილია როგორც:**
1. ლიტერალი
 2. ლექსემა
 3. ფუნქცია
 4. გამოსახულება
- 4.36. მონაცემის ტიპი, რომელიც შედგენილია არსებული ტიპების გამოყენების გზით, ცნობილია, როგორც:**
1. ფუნქცია
 2. სტრუქტურა
 3. მასივი
 4. პროგრამული მოდული
- 4.37. პროგრამა-ტრანსლიატორს, რომელიც მაღალი დონის დაპროგრამების ენაზე შექმნილ პროგრამას გარდაქმნის მანქანურ კოდში, ეწოდება:**
1. ინტერპრეტატორი
 2. რედაქტორი
 3. კომპილატორი
 4. გარდამსახი
- 4.38. მთელრიცხვა გაყოფის ოპერაცია იძლევა:**
1. მთელი ტიპის შედეგს
 2. ნებისმიერ შედეგს
 3. შედეგს მცოცავი წერტილით
 4. სიმბოლური ტიპის შედეგს
- 4.39. ყველა ცვლადი აღწერის დროს მოითხოვს:**
1. ინიციალებას
 2. ლოკალური მონაცემის სპეციფიკაციას
 3. გლობალური მონაცემის სპეციფიკაციას
 4. ტიპის მითითებას
- 4.40. ლოგიკური "და" ოპერაციის შესრულება მოითხოვს:**
1. მოცემული პირობების მცდარობას
 2. მოცემული პირობების ჭეშმარიტებას
 3. მოცემული პირობებიდან ერთ-ერთის მცდარობას
 4. მოცემული პირობებიდან ერთ-ერთის ჭეშმარიტებას
- 4.41. ლოგიკური "ან" ოპერაციის შესასრულებლად საკმარისია:**
1. მოცემული პირობებიდან ერთ-ერთის ჭეშმარიტება
 2. მოცემული პირობების მცდარობა
 3. მოცემული პირობებიდან ერთ-ერთის მცდარობა
 4. იგი სრულდება ჭეშმარიტება-მცდარობის პირობის დამოუკიდებლად

- 4.42. არითმეტიკული ოპერაციების შესრულების თანმიმდევრობა პრიორიტეტების მიხედვით შემდეგია:**
1. შეკრება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა
 2. გაყოფა, შეკრება, გამრავლება, გამოკლება
 3. გამრავლება, გაყოფა, შეკრება, გამოკლება
 4. არ აქვს არსებითი მნიშვნელობა
- 4.43. მთელრიცხვა გაყოფის ოპერაციის ოპერანდები მთელი ტიპის რიცხვითი სიდიდეებია. რა ტიპის სიდიდეა განაყოფი?**
1. მთელი
 2. ათწილადი
 3. ნამდვილი რიცხვი დამრგვალებული მეტობით
 4. ნამდვილი რიცხვი დამრგვალებული ნაკლებობით
- 4.44. ნებისმიერი პროგრამის დოკუმენტირებისა და იოლად წაკითხვის მიზნით გამოიყენება:**
1. სპეციალური ბრძანება
 2. კომენტარი
 3. პრეპროცესორის დირექტივა
 4. სტრუქტურა
- 4.45. ტერნერიული ეწოდება ოპერაციას, რომელიც შედგება:**
1. ერთი ოპერანდისგან
 2. ორი ოპერანდისგან
 3. სამი ოპერანდისგან
 4. ოთხი ოპერანდისგან
- 4.46. პროგრამაში არითმეტიკული ოპერაციების შესრულების თანმიმდევრობის დარღვევა შესაძლებელია:**
1. მრგვალი ფრჩხილების გამოყენებით
 2. ფიგურული ფრჩხილების გამოყენებით
 3. წერტილ-ძიძის (;) სიმბოლოს გამოყენებით
 4. სპეციალური დირექტივით
- 4.47. მინიჭების ოპერატორის გამოყენების შემთხვევაში მოქმედებები სრულდება:**
1. მარცხნიდან მარჯვნივ
 2. მარჯვნიდან მარცხნივ
 3. ნებისმიერი მიმართულებით
 4. ოპერაციის აღმნიშვნელი ნიშნიდან მარჯვნივ
- 4.48. ძირითად პროგრამაში ქვეპროგრამების გამოყენება უზრუნველყოფს:**
1. გამოთვლითი პროცესის სიზუსტეს
 2. გამოთვლითი პროცესის სწრაფქმედებას
 3. კომპიუტერული პროგრამის კომპაქტურად ჩაწერას
 4. შედეგების ვიზუალიზაციას
- 4.49. პროგრამული შეცდომა არ შეიძლება იყოს:**
1. სინტაქსური
 2. ლოგიკური
 3. გამოსწორებადი
 4. მორფოლოგიური
- 4.50. ნულზე გაყოფის ოპერაცია იწვევს:**
1. მცდარი შედეგის მიღებას
 2. პროგრამის ჩაციკლვას
 3. გამოთვლითი პროცესის შეწყვეტას
 4. ნულვანი შედეგის მიღებას

V. საინფორმაციო ტექნოლოგიები

- 5.1. ჩამოთვლილთაგან რომელი ბრძანებით შეიქმნება ახალი დოკუმენტი?
1. View / Document Map
 2. File / New...
 3. File / Open...
 4. Insert / File...
- 5.2. ჩამოთვლილთაგან რომელი ბრძანებაა საჭირო Word-ის დოკუმენტის სხვა სახელით დასამახსოვრებლად?
1. File / Save As...
 2. File / Open...
 3. Tools / Options...
 4. File / Save
- 5.3. ჩამოთვლილთაგან რომელი ბრძანება უნდა გამოვიყენოთ ტექსტში სიმბოლოთა მიმდევრობის ჩასანაცვლებლად:
1. File / Save As...
 2. View / Header and Footer
 3. Insert / Cross-reference
 4. Edit / Replace...
- 5.4. ჩამოთვლილთაგან რომელი ბრძანებით ხორციელდება ფორმატის გადატანა?
1. Spelling and Grammar
 2. Format / Font
 3. Format Painter
 4. Edit / Go To
- 5.5. ჩამოთვლილთაგან რომელი ოპერაციის შესრულება არ შეიძლება მენიუს Format/Font დიალოგური ფანჯრიდან?
1. შრიფტის ფერის შეცვლა
 2. ზედა ინდექსის დაყენება
 3. სტრიქონებს შორის ინტერვალის დაყენება
 4. ასოებს შორის მანძილის გაზრდა
- 5.6. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ბუფერთან სამუშაო ბრძანება?
1. Save
 2. Cut
 3. Copy
 4. Paste
- 5.7. როგორ დავბეჭდოთ სიმბოლოს ზედა ინდექსი სტრიქონიდან ნახევარი დონით მაღლა?
1. Format Painter დილაკის საშუალებით სტანდარტული პანელიდან
 2. ჩაერთოთ Superscript ჩამრთველი Font დიალოგურ ფანჯარაში
 3. შევამციროთ მაჩვენებლის შრიფტის ზომა
 4. მენიუს Insert / Symbol ბძანებით
- 5.8. სახაზავის რომელი მარკერი განსაზღვრავს აბზაცის პირველი სტრიქონის პოზიციას?
1. მარცხენა ზედა მარკერი
 2. მარცხენა ქვედა სამკუთხა მარკერი
 3. მარცხენა ქვედა კვადრატული მარკერი
 4. მარჯვენა მარკერი

- 5.9. ჩამოთვლილთაგან რომელი ბრძანებით ხორციელდება ტექსტის ჩარჩოში ჩასმა?
1. **Format / Bullets and Numbering...**
 2. **Format / Borders and Shading...**
 3. **Tools / AutoCorrect Options...**
 4. **Insert / Object...**
- 5.10. ჩამოთვლილთაგან რომელი საბრძანებო ღილაკია განკუთვნილი მხატვრული ტექტის შესაქმნელად?
1. Insert WordArt სახატავი ინსტრუმენტების პანელზე
 2. Insert Clip Art სახატავი ინსტრუმენტების პანელზე
 3. Drawing სტანდარტულ პანელზე
 4. Format Painter სტანდარტულ პანელზე
- 5.11. ჩამოთვლილთაგან რომელი ბრძანებით ხორციელდება დოკუმენტის წინასწარი დათვალიერება?
1. **File / Page Setup...**
 2. **File / Print Preview**
 3. **View / Print Layout**
 4. **View / Full Screen**
- 5.12. ჩამოთვლილთაგან რომელი ბრძანებით შესაძლებელია ცხრილის მონიშნული სვეტის წაშლა?
1. კლავიატურის Delete კლავიშით
 2. მენიუს ბრძანებით Edit / Clear
 3. მენიუს ბრძანებით Table / Delete / Columns
 4. მენიუს ბრძანებით Format / Columns...
- 5.13. ჩამოთვლილთაგან რომელი ბრძანებით შეიძლება ცხრილის უჯრედის დაყოფა რამდენიმე ნაწილად?
1. **Format / Tabs...**
 2. **Table / Split Cells...**
 3. **Table / Table Autoformat...**
 4. **Tools / AutoCorrect...**
- 5.14. ჩამოთვლილთაგან რომელი ბრძანებით შეიძლება ცხრილის უჯრედში ტექსტის ორიენტაციის შეცვლა?
1. **Format / Text Direction...**
 2. **Table / Sort...**
 3. **Table / Table AutoFormat...**
 4. **Table / Show Gridlines**
- 5.15. როგორ დავაჯგუფოთ რამდენიმე გრაფიკული ობიექტი ერთ ობიექტად?
1. ასეთი რამ შეუძლებელია
 2. გადავიტანოთ მაუსით ეს ობიექტები და დავადოთ ერთმანეთზე
 3. მოვნიშნოთ ეს ობიექტები და შევასრულოთ Draw / Group ბრძანება სახატავი ინსტრუმენტების პანელიდან
 4. ჩავსვათ ეს ობიექტები კადრში (Text Box)
- 5.16. ჩამოთვლილთაგან რომელი ბრძანებით გადაინომრება დოკუმენტის გვერდები?
1. **Format / Bullets and Numbering...**
 2. **File / Page Setup...**
 3. **Insert / Page Numbers...**
 4. **Format / AutoFormat...**

5.17. Insert მენიუს ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი ბრძანებით შეიქმნება დოკუმენტში სქოლიო?

1. **Break...**
2. **Reference / Footnote...**
3. **Reference / Caption...**
4. **Reference / Cross-reference...**

5.18. ჩამოთვლილთაგან რომელი მოქმედებით არ მონიშნება მთლიანი ტექსტი?

1. მარცხენა მინდვრის არეში სამჯერადი დაწკაპუნებით
2. კლავიშთა გარკვეული კომბინაციით
3. მენიუს ბრძანებით
4. ტექსტის არეში ოთხჯერადი დაწკაპუნებით

5.19. როგორ მოენიშნოთ ტექსტში მთლიანი აბზაცი ფურცლის მინდვრიდან?

1. აბზაცის გასწვრივ მინდვრის არეში დაწკაპუნებით
2. აბზაცის გასწვრივ მინდვრის არეში ორჯერადი დაწკაპუნებით
3. აბზაცის გასწვრივ მინდვრის არეში სამჯერადი დაწკაპუნებით
4. აბზაცის გასწვრივ მინდვრის არეში ოთხჯერადი დაწკაპუნებით

5.20. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოქმედებაა საჭირო იმისათვის, რომ სურათის ირგვლივ მოვათავსოთ ტექსტი?

1. სურათის ზომის შემცირება
2. Format Picture დიალოგური ფანჯრის Layout ჩანართში შესაბამისი განლაგების არჩევა
3. სურათი უნდა იყოს ამოღებული Clip Art გალერეიდან
4. სურათი უნდა იყოს jpeg ფორმატის

5.21. რას განსაზღვრავს ტერმინები Portrait და Landscape?

1. პორტრეტებისა და ლანდშაფტების სახატავ სპეციალურ ინსტრუმენტებს
2. გრაფიკული ობიექტების განათებულიობასა და სიმკვეთრეს
3. საბეჭდი ფურცლის ორიენტაციას
4. საბეჭდი წერტილების რაოდენობას კვადრატულ სანტიმეტრზე

5.22. ჩამოთვლილთაგან რომელი ბრძანებით შეიქმნება Excel-ის ელექტრონული დავთარი?

1. **File/New**
2. **File/Save**
3. **File/Open**
4. **Window/New Window**

5.23. Excel-ში ფორმულების ზოლი გამოიყენება:

1. უჯრედების გასაფორმებლად
2. დიაგრამის ასაგებად
3. უჯრედებში ფორმულების ჩაწერისა და რედაქტირებისათვის
4. უჯრედებისათვის რიცხვითი ფორმატის მისანიჭებლად

5.24. Excel-ის უჯრედში შეტანილი რიცხვითი მონაცემები განთავსდება:

1. უჯრედის მარცხენა კიდესთან
2. უჯრედის მარჯვენა კიდესთან
3. უჯრედის ცენტრში
4. უჯრედის ზედა კიდესთან

5.25. როგორ წავშალოთ Excel-ის უჯრედში ჯერ კიდევ დაუფიქსირებელი ინფორმაცია?

1. Delete კლავიშით
2. შესაბამისი კონტექსტური მენიუს გამოყენებით
3. ფორმულების ზოლში x ღილაკზე დაწკაპუნებით ან Esc კლავიშით
4. < Shift+Enter > კლავიშთა კომბინაციით

5.26. ჩამოთვლილთაგან რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება დიაგრამის შესაქმნელად?

1. Zoom
2. Chart Wizard
3. Format Painter
4. Formula Bar

5.27. ჩამოთვლილთაგან რომელი მოქმედება (ან მოქმედებები) არ გამოდგება დიაპაზონის მოსანიშნავად?

1. დიაპაზონის ერთ-ერთი კუთხის უჯრედიდან მაუსის დაფიქსირებული მარცხენა კლავიშით გადავიდეთ დიაგონალურად მოპირდაპირე უჯრედზე
2. გავააქტიუროთ დიაპაზონის კუთხის უჯრედი, დავაფიქსიროთ Shift კლავიში და დავაწკაპუნოთ დიაგონალურად მოპირდაპირე უჯრედზე
3. გავააქტიუროთ დიაპაზონის კუთხის უჯრედი, დავაფიქსიროთ Shift კლავიში და კურსორის გადაადგილებით კლავიშების საშუალებით მოვნიშნოთ საჭირო დიაპაზონი
4. რიგ-რიგობით დავაწკაპუნოთ დიაპაზონის ყველა უჯრედზე

5.28. შეიძლება თუ არა მონაცემების ერთდროულად შეტანა Excel-ის რამდენიმე ფურცელში?

1. შეიძლება მხოლოდ დავტორის საკუთრივ პირველ სამ ფურცელში
2. არ შეიძლება
3. შეიძლება, თუ მოვნიშნავთ ამ ფურცლებს
4. შეიძლება მხოლოდ მოსაზღვრე ფურცლების მონიშვნით

5.29. მონაცემის განთავსებისათვის ვერტიკალის მიმართ Excel-ის უჯრედის ცენტრში საჭიროა:

1. Center ღილაკზე დაწკაპუნებით
2. Merge and Center ღილაკზე დაწკაპუნებით
3. Formt / Cells / Aligment ჩანართის Vertical ველში დავაყენოთ Center
4. შევცვალოთ შესაბამისი პარამეტრები Options / View ჩანართში

5.30. Excel-ში რას აღნიშნავს მრგვალ ფრჩხილში მოთავსებული რიცხვი (27)?

1. 27
2. -27
3. 0,27
4. 2700

5.31. Excel-ის ტექსტის უჯრედში რამდენიმე სტრიქონის წარმოსადგენად საჭიროა:

1. უჯრედში ახალ სტრიქონზე გადასასვლელად დავაჭიროთ Enter კლავიშზე
2. უჯრედში ახალ სტრიქონზე გადასასვლელად ავკრიბოთ < Ctrl+Enter > კლავიშთა კომბინაცია
3. გავზარდოთ უჯრედის სიმაღლე
4. ჩავერთოთ Format / Cells / Aligment / Wrap Text ჩამრთველი

- 5.32. Excel-ში რომელი მიმართვა არ არის სწორად ჩაწერილი?
1. A5:C8
 2. Sheet2!A1:C5
 3. Sheet1:Sheet3!D2
 4. D6-D7
- 5.33. რომელი სიმბოლო გამოიყენება Excel-ის უჯრედის აბსოლუტური მისამართის აღსანიშნავად?
1. &
 2. %
 3. \$
 4. @
- 5.34. Excel-ში რამდენი არგუმენტი არ შეიძლება ჰქონდეს ფუნქციას?
1. არც ერთი
 2. 1
 3. 10
 4. 50
- 5.35. Excel-ში როგორი ტიპის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს IF ფუნქციის პირველ არგუმენტს?
1. რიცხვითი
 2. ტექსტური
 3. სამისამართო
 4. ლოგიკური
- 5.36. ჩამოთვლილთაგან რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ Excel-ცხრილის სათაური ყოველ დაბეჭდილ ფურცელზე გამოჩნდეს?
1. მივუთითოთ სათაურის მისამართი **Page Setup / Sheet** ჩანართის **Rows to repeat at top** ველში
 2. ბეჭდვის წინ შევასრულოთ **Edit / Fill Down** ბრძანება
 3. მივუთითოთ სათაურის მისამართი Custom Views დიალოგურ ფანჯარაში
 4. ბეჭდვის წინ შევასრულოთ **Insert / Rows** ბრძანება
- 5.37. რა არის ინტერნეტის web-საიტი?
1. ინტერნეტ-პროვაიდერი
 2. ვებ-გვერდების ერთობლიობა
 3. ინტერნეტის საკვანძო კომპიუტერი
 4. კვანძი, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლის კავშირს ინტერნეტთან
- 5.38. რომელია Internet Explorer-ის სასტარტო გვერდი?
1. ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
 2. ფირმა Microsoft-ის ვებ-გვერდი
 3. ინტერნეტ-პროვაიდერის ვებ-გვერდი
 4. ვებ-გვერდი, რომლის მისამართსაც მომხმარებელი მიუთითებს ინტერნეტის პარამეტრებში
- 5.39. ჩამოთვლილთაგან რომელი მოქმედებაა მიზანშეწონილი ინტერნეტის საინტერესო ვებ-გვერდის მისამართების დასამახსოვრებლად?
1. გადავაქციოთ ვებ-გვერდი Internet Explorer-ის სასტარტო გვერდად
 2. ჩავწეროთ რჩეულთა მენიუში
 3. ჩავწეროთ მისამართების ფურცელში
 4. მისამართი დავიმახსოვროთ ბუფერში და **Paste** ბრძანებით გადავიტანოთ ტექსტურ დოკუმენტში

5.40. რას წარმოადგენს IP მისამართი?

1. ასოებით დაწვებულ სიმბოლოთა მიმდევრობას
2. ორნიშნა რიცხვს
3. ერთმანეთისაგან წერტილებით გამოყოფილ ოთხ რიცხვს, რომელთაგან თითოეული შეიძლება იყოს რიცხვი 0-დან 255-ის ჩათვლით
4. www-თი დაწვებული სიმბოლოთა მიმდევრობა

5.41. რას აღნიშნავს ინტერნეტის აბრევიატურა WWW?

1. ინტერნეტის Web-გვერდის სტრუქტურას
2. ფაილების გაცვლის განაწესს
3. ერთიან საინფორმაციო ქსელს
4. ინტერნეტის საძიებო კვანძების ერთობლიობას

5.42. დომენის რომელი სუფიქსია განკუთვნილი არაკომერციული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის?

1. com
2. net
3. mil
4. edu

5.43. რომელ დიალოგურ ფანჯარაში უნდა მიეთითოს ვებ-გვერდის მისამართი, რათა იგი გადაიქცეს Internet Explorer-ის სასტარტო გვერდად?

1. Properties
2. Organize Favorites
3. Internet Options
4. Find

5.44. რომელ სიმბოლოა გამოყენებული ელექტრონული ფოსტის მისამართებში?

1. @
2. #
3. ^
4. &

5.45. ჩამოთვლილთაგან რომელი ბრძანების შესრულებაა საჭირო ელექტრონული ფოსტით ფაილის გასაგზავნად?

1. Save as Stationery...
2. File Attachment...
3. Select Recipients...
4. Plain Text

5.46. ჩამოთვლილთაგან რომელი ბრძანებით არ შეიქმნება საპრეზენტაციო პროგრამა PowerPoint-ში?

1. From Slide Layout Wizard
2. Blank Presentation
3. From Design Template
4. From Autocontent Wizard

5.47. ჩამოთვლილთაგან რომელი ბრძანებით განისაზღვრება სლაიდის სტრუქტურა?

1. Slide Design
2. Slide Layout
3. Slide Transition
4. Content Layout

- 5.48. ჩამოთვლილთაგან რომელი არ წარმოადგენს PowerPoint-ში საპრეზენტაციო დათვალიერების რეჟიმს?**
- 1. Slide Preview**
 - 2. Slide Show**
 - 3. Slide Sorter View**
 - 4. Normal View**
- 5.49. რა დანიშნულება აქვს PowerPoint-ის მენიუს Slide Show/Transition ბრძანებას?**
1. სლაიდის გრაფიკული ელემენტის გაფორმებას ანიმაციური ეფექტით
 2. სლაიდებს შორის მოძრავი გადასვლების დაყენებას
 3. სლაიდზე ელემენტების გადაადგილებას
 4. სლაიდის ტექსტის გაფორმებას ანიმაციური ეფექტით
- 5.50. PowerPoint-ში მენიუს რომელი ბრძანებით ხორციელდება საპრეზენტაციო სლაიდის დამატება?**
- 1. Insert/Blank Slide**
 - 2. Insert/Add New Slide**
 - 3. Insert/New Slide**
 - 4. Insert/Add Slide**